

დავ. გეჯაძე

ქართული ენა

დექანიკოლოგიისა და სემანოლოგიის
პრაქტიკები

ვიღაგოგოიური ინსტიტუტის დოქტორი განათლების
ვიღაგოგოიისა და მეთოდოლოგიათა ფაკულტეტის
ქართული განყოფილების სტუდენტთათვის

1 9 6 2

ა ზ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

„ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი“ შედგენილია პედაგოგიური ინსტიტუტების დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიათა ფაკულტეტის ქართული განყოფილების სტუდენტებისათვის. ცალკეული საკითხები და სავარჯიშო მასალა ძირითადად დალაგებულია ამ ფაკულტეტის ქართული ენის პროგრამისა და სახელმძღვანელოს მიხედვით. იგი გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

სავარჯიშო-საილუსტრაციო მაგალითები უმთავრესად ამოკრებილია ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ და პერიოდული პრესიდან.

შემოკლებათა განმარტება

- შ. რუსთ. — შოთა რუსთაველი
 ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი
 ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი
 ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი
 ქ. გამს. — კონსტანტინე განსახურდია
 რ. გვეტ. — რაეღენ გვეტაძე
 ი. გოგებ. — იაკობ გოგებაშვილი
 ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
 შ. დად. — შალვა დადიანი
 ვ. ფ. — ვაჟა-ფშაველა
 ან. კალან. — ანა კალანდაძე
 გ. კაჭახ. — გიორგი კაჭაიაძე
 დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
 ს. კლდ. — სერგო კლდიაშვილი
 გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
 ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
 ქ. ლორთქ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე
 ნ. ლორთქ. — ნიკო ლორთქიფანიძე
 დ. მაჩა. — დავით მაჩხანელი
 მიხ. მრეველ. — მიხეილ მრეველიშვილი
 შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი
 ე. ნინ. — ეგნატე ნინოშვილი
 გრ. ორბ. — გრიგოლ ორბელიანი
 თ. რაზიკ. — თედო რაზიკაშვილი
 გ. ტაბ. — გალაქტიონ ტაბიძე
 ლ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი
 ა. ყაზ. — ალექსანდრე ყაზბეგი
 გ. შატბ. — გიორგი შატბერაშვილი
 შუშან. — „შუშანიკის წამება“
 ა. წ. — აკაკი წერეთელი
 ა. კ. — ალექსანდრე ჭავჭავაძე
 ი. კ. — ილია ჭავჭავაძე
 გ. კალად. — გიორგი კალადიძელი
 გრ. ხანძთ. — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
 მ. ჯაეახ. — მიხეილ ჯაეახიშვილი

ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია

სიტყვის რაობა

რა არის სიტყვა? რა ურთიერთობა არსებობს სიტყვის ბგერითს-
შედგენილობასა და ნიშნელობას შორის? რას შეისწავლის ლექსი-
კოლოგია და სემასიოლოგია?

სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები

რა საფუძველზე ხდება ენის ლექსიკური შედგენილობის კლასი-
ფიკაცია სრულმნიშვნელოვან და არასრულმნიშვნელოვან სიტყვე-
ბად? რა განსხვავება არსებობს სრულმნიშვნელოვანსა და არასრულ-
მნიშვნელოვან სიტყვებს შორის?

სავარჯიშო 1. ამოიწერეთ ცალ-ცალკე სრულმნიშვნელოვანი და
არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები.

არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუყარებლად
მალალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირი-
დამ დადებულა, ყოველი ზენობა ძირიდამ ამაღლებულა, მალლიდამ
კი ზენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის
შვილს, თერგის სახე უფრო მანწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინ-
ვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ესუსხავს და სითეთრე აბერებს! მა-
ლალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და
ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი (ი. ჯ.).

რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და,
რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი-
საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიქე-
რენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სივა მოვა ტურფასა საბალნა-
როსა“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ
ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამ-
დის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო ან შეინძრევა და ფესვები
მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების
დაცვენით არა უჭირს-რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, აღრე
თუ გვიან დასაცენი, და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გა-
ქირება სამეფოს? (ა. წ.).

სავარჯიშო 2. ამოიწერეთ სრულმნიშვნელოვანი და არასრულ-
მნიშვნელოვანი სიტყვები და დააჯგუფეთ ისინი მეტყველების ნა-
წილთა მიხედვით.

— დიად, როგორ არა-მეთქი, — ეთქვი მე გულგადმობრივად-
ბულმა და გული დავიმწვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყუ-
ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყუათ ჩემი მოსვლა
და მოვიდნენ ჩემს სანახაუდ. მეც დარბაისლად ვიქერდი იმათთან
თავს, როგორც „განათლებული“ კაცი. ვიმაგრებდი თავს, თითქმის
ალარც კი ვიცინოდი და შუბლს ვიჭმუნხნიდი. თითო-ოროლა რუ-
სულ სიტყვას წამოვიხროდი. რა არი მეჩვენებინა იმათთვის, რომ-
რუსული ვიცი-მეთქი (ვ. ფ.).

ხიბჰვა და მისი მნიშვნელობა

რა შეადგენს სიტყვის მნიშვნელობის არსს? რა ურთიერთობა
არსებობს სიტყვის მნიშვნელობასა და ცნებას შორის, — სიტყვასა
და ტერმინს შორის?

ხიბჰვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა

რას გულისხმობს სიტყვის ძირითადი (პირდაპირი) და გადატა-
ნითი მნიშვნელობა? რით უნდა დავადგინოთ. სიტყვა ნახმარია ძი-
რითადი თუ გადატანითი მნიშვნელობით? რა შეადგენს სიტყვის
გადატანითი მნიშვნელობით ხმარების საფუძველს?

სავარჯიშო 3. გადაიწერეთ წინადადებები და მიუთითეთ, ხაზ-
გასმული სიტყვები სადაა ნაიხარი ძირითადი ან გადატანითი
მნიშვნელობით.

ანბანი. ანბანი მიხამ ჩვენს სახლში ისწავლა (ვ. ბარნ.). მარ-
ტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალს (ი. კ.).

მასოვს. პირველად სასწავლებელში

წასაყვანადა რომ მომამზადეს,

მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში

და შორსა გზასა მე გამამგზავრეს (გ. ქალაღ.).

უმკროსი მოვალე არ არის, უკანონობა უფროსისა აღსრულე-
ბაში მოიყვანოს, — ეს ხომ ანბანია ყველასათვის (ი. კ.).

ანგელოზი. ეშპაკს რომ კელაპტარს დაუნთებ. ანგელოზს
ეწყინება (ს. მგალობ.). დედი! ხედავ ამ ანგელოზს? წარმო-
სთქვა გაორგიძ, კესოზე თვალგაჩერებულმა (ი. კ.).

ბექედი. თანარმა წაიძრო ხელიდან ძვირფასი ბექედი და
უბოძა აქტორს ნიშნად მადლობისა და წალობისა (ი. გოგებ.).

შის შრომას ორგვარი ბეჭედი ახს: ზოგს -- ნიქისა, ზოგს -- მოქანცვისა (ა. წ.).

გამოსალმება. საცოდლობით აივსო, ვინც კი ნახა ამათი გამოსალმება (ლ. არდაზ.). გოგიას ალბათ ეწწარა სიციცხლის გამოსალმება (ეგნ. ნინ.).

დაბალი. ეზოს სიღრმეში ძველებური დაბალი სახლი მოჩანდა. (ლ. ქიჩა.). „დაბალი ნისლი ალად იწყებდა აშლას“ (ს. კლდ.). „შემშლით განწარებული თავადაზნაურობა დაბალ წოდებას დააწევა თავზე“ (ა. წ.). გაიხსნა დაბალი სკოლა ყოველი ეროვნებისათვის (დ. კლდ.).

დაიბადა. თუ პატარა არ დაიბადა, დიდი საიდან იქნებოდა (ხალხ.). გამოსხნა ვაემა ძუა და ერთი მშვენიერი ჩაში ნაშინვე დაიბადა“ (ზღაპ.). ქორწილი მაქვს დღეს, ქორწილი!.. დღეს მეორედ დავიბადე ამ ქვეყანაზე! (ნია. მრეკლ.).

დათვი. რეზეტინი ნამდვილი დათვი იყო შესედულებით და ამ დათვენი საკვირველი ადამიანი იყო მიზალული (დ. კლდ.). დათვემა სთქვა: რასაც ჩემი თათი ვერ მოეუსევი, გემო ვერა ვნახეო (ანდაზა).

ნახკვი. გრძლად თქმულს მოკლედ გამოვნასკვავთ, რომ შესაძლებელი იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად გაეითვალისწინოთ (ი. კ.). ძველად კითხვის დროს მოწადევებს ეჭირათ ხელში წერილი ბაწარი... ათგან განოსკენილი. რამდენჯერ წაიკითხავენდენ. იმდენ ნასკვს ჩააგდებდენ კრიალოსანივით (ა. წ.).

ზღვა. მშვიდია ჩენი დილა, ზღვა სიხარულით საესე (ან. კალანდ.). ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? (ა. წ.).

კბილი. ლუარსაბზე დააკრაქუნა კიდევ თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად (ი. კ.). ყველაზე რეტად კი არ ზოგავდა ისევ იმ მოიუცს, რომელსაც თავიდანვე კბილი დაასო (ს. კლდ.). განა გლესკაცობის ნაამბობს კი კბილი არ უნდა გაესინჯოს? (ი. კ.).

ტალღა. ნარგიზებიდან წამოსული გლეხთა ტალღა წარაბდაში ორ ნაწილად გაიყო (მ. ჯავახ.). კვლავ სიჩუმეა გამეჯებული, ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის (გ. ტაბ.).

ხავარჯიშო 4. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ამოწერეთ რამდენიმე ისეთი სიტყვა, რომლებიც ხშირად გვხვდება როგორც ძირითადი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

სიტყვის მრავალმნიშვნელოვნება

რას გულისხმობს სიტყვის წრავალმნიშვნელოვნება (პოლისემია)? რა ურთიერთობა არსებობს სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარებასა და პოლისემიას შორის?

სავარჯიშო 5. დაუვიროდით ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს და მიუთითეთ, რით არის განპირობებული ხაზგასმული სიტყვების მრავალმნიშვნელოვნება?

ბექედი. ქალს მარცხენა ხელის თითებზე ნომსხო თელიანი ბექედი აუბრკეყილდა (ლ. ქიაჩ.). გრძელი ქალაღი მრგვალ ჩხირზე დაახვია, მარჯვენა ცერზე რომ ბექედი აქონდა წამოცმული, მისი ფართო, წარწერიანი წარე სანთლის აღზე გამკრა და წერილის დასასრულს დაკრა“ (შ. დად.).

ბიზანტიელი დესპანიც იქ დაგვესწრო და ფიცის ქალაღი ბექედის დასმით განაღტიცა (შ. დად.).

თვალი. ბრმა რას ჩივის და — ორთაე თვაღსაო (ანდაზა). დაღგნენ ცეცხლის ხაზზე — გამოსცადეს თავიანთი თვაღი და მარჯვენა („აა. კოზ.“). უფროსები კარგი თვაღით მიყურებენ (ა. წ.). აწრიღღდა ურმის თვაღი (შ. მღვინ.). მღიღარი ქვეყანა სწავღულთ ხელში ნატერის თვაღად დაღაქცევა (ი. ჭ.). მესამე თვაღი ოთახი სასტუწროდ გახადეს (გ. წერეთ.). საქსოვი სამ თვაღს რომ ამოიღებდა, ღიღხანს შეაწერებდა ჩხირების ტრიღს“ (ნ. ლორთქ.).

თავი. თავის დაღკარგვეღი თმას დასტიროდაო (ანდაზა). სეღვი აჯდა კღღის თაეზე (თ. რაზიკ.). სუღრის თაეში იჯდა თაე-საფრიანი ქართვეღი ქაღი (გ. შატბერ.). აბა ახღა ერთი რაზედაც გული გთხოვს, მიირთვი, ზედაც საში ყანწი... თაეღი ღვინო დაღკარ (დ. მაჩან.). ქართღურ თქმულეღაში არ არის ნათქვამი, ვინ იყო ამირანის მამა, აღბათ იმიტომ, რომ თქმულეღას თაეღი აკღია (ივ. ჯავახიშვიღი).

ბუღღე. შევღღ ტყეში და მღხებზე ფრინვეღების ბუღღეს ვნახავთ (გ. კაჯახ.). არჩიღი ახღა კმაყოფიღი იყო, რომ ძვეღი ბუღღე დაუნგრევეღი დახვედა (ი. ჭ.). სახღღში რომ შესულიყავით..., ნახვეღით ბუღღით ჩამოკიღებულს კარგად მოზრდიღ თოფს (ი. ჭ.).

სავარჯიშო 6. მითითებულღი ნაწყვეტიღან ამოწერეთ ყვეღა სიტყვა. „განმარტებთი ლექსიკონის“ დახმარებით გაარკვიეთ, რო-

მელი მათგანი იხმარება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობით.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ფარეშები გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით: მზარეულებმა ნებიერი წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნე ჩაუკიდეს. გამძლეები დატრიალდნენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი... ცხვრები მოაბლავლეს. ქათმები ააქრიანეს, ბატ-ინდაური მორეკეს. იყო ერთი ფაცა-ფუცი და მზადება (ა. წ.).

ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი

გადმოეცით სინონიმთა განსაზღვრება. რამდენგვარია სინონიმები? რა შეადგენს აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმთა დამახასიათებელ ნიშნებს? რა როლს ასრულებს სიტყვათა სესხება სინონიმების წარმოქმნაში?

ხავარჯიშო 7. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი სიტყვები. მოითქვით მათი აბსოლუტური სინონიმები და მიუწერეთ გვერდით-აედარი. ამაყი. ამბორი. ანაზღად. არაბუნებრივი. ბედი. ბეჯითი. დარდი. გოგრა. ვეკილი. თუთა. იენისი. იფანი. კალნაბი. მუდამ. ნაცვლად. ფილთაქვა. ქალიშვილი. ღარიბი. შიშველი. ჩუბინი. ცქვიტი. წუნდაუღებელი. ჯანსალი. ჯიბრი.

ხავარჯიშო 8. გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი სიტყვები, გვერდით მიუწერეთ სინონიმები (აბსოლუტური და რელატიური). შესამოწმებლად გამოიყენეთ ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (თბილისი, 1961).

ადვილი. ავი. ამაყი. ბეჯითი. ბრწყინვა. გინება. გულადი. გულგრილი. გულუხვი. დაღლილი. თავდადება. კლდე. ლამაზი. ლაპარაკი. ლხინი. მთერალი. მოკვდა. მომხიბლავი. მოწონება. მოხუცი. მხიარულება. ნამდვილი. პატარა. რასაკვირველია. სასტიკი. საჩუქარი. სიარული. სიცილი. სწრაფად. უსირცხვილო. უღონო. უწმაწური. ფერწასული. ღარიბი. შერცხვენა. შეშინებული. შტერი. ჩაგვრა. ცემა. ცქერა. ძუნწი. ჯიუტობა.

ხავარჯიშო 9. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ მათივე სინონიმებით.

მგონია, ეგრე სწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა (ი. ჭ.). ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხადა: „გესმისო?“ (ი. ჭ.). თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ

მისი დიდრონი ქორული თვალები მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ (ი. კ.). ჩვენებს თითქმის ყველას ვიცნობდი და სტუმრებმა კი სწორედ გამაცეცეს (ა. წ.). ყველაზე უფრო დასევდიანდა თურმე დედაჩემი: ამას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შეილსავეთ ზრდიდა და ანებებდა, როგორც შესანიშნავ ბავშვს (ა. წ.). ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე დიდი-საგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქმნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში (ა. წ.). აივანზე ისევე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ჰგოდებდა, რომ ამ კრებულში აშკარად ვერ იტყოდა სათქმელს (მხ. ჯავახ.). ჰევკავებდნენ ძლიერ დაასრულა რთველი წინანდალში, რომ მეთაურებმა სასწრაფოდ დაიბარეს ქალაქში და ახალთახალი ამბები უამბეს (მ. ჯავახ.). თებერას გულწრფელად სჯეროდა, რომ დღეს მისი განსაკუთრებული ხალისის მიზეზი უხვი სამუშაო იყო და ბრწყინვალე დღე (ვ. ბარნ.). შუალამემ მოატანა. საქონელი დაიღალა. მგზავრებს მოშივდათ (ვ. ბარნ.). დანიშნულ ღამეს აბდუშაჰილი მართლა შემოერტყა გარს მელანოს სახლს, მაგრამ სახლში შეშინებული ქალისა და მძინარი ბავშვების მეტი ვერაინი ნახეს. იმავე დროს შიგ თელავში ავარდა ალი და თინსალმაკოს სახლი ისე გადიბუგა, რომ ველარაფერი ველარ გადაარჩინეს (ა. წ.).

სავარჯიშო 10. გადაიწერეთ წინადადებები და ხაზი გაუსვით სინონიმებად გამოყენებულ სიტყვებს.

არც ერთხელ არ ანსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს (ი. კ.). შეილს გუნება ეცვალა, უფრო დაიდერიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანადვლიანდა (ი. კ.).

ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგილია?
ნუთუ ნალეელი, დარდი და ჯაერი
თან არაეისი წამოგილია? (ი. კ.).

ვითა ეთერი მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს (ა. წ.).

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
ღნება, ვით მსხვერპლი დიადი (ა. წ.).

ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა (ო. გოგებ.). ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავად-მყოფოდ კენებოდა, ღნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილიღა გლო (ო. გოგებ.).

ვღგვეარ მთაზე, ვღგვეარ მარტო;
ვღგვეარ ერთი, ვღგვეარ ობლად...
შორეული არვინა სჩანს,
არვინაა არც მახლობლად (გ. ტაბ.).

მთვარით ნაუენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არწვეს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.
(გ. ტაბ.).

შოლტივით მოქნილი იუანი გადაეჭირა ქალს მხარზე, გადაექლო
ზურგზე და დასწკდა წვერით ქორთა ტანს; იამა სახრეს ნორჩი
ხორცი, ერთი კიდეე შეითამაშა პაერში და კვლავ ჩაეწმანხა გო-
გონას, მთლად ჩააყვდა შიგ (ვ. ბარნ.).

ო მ ო ნ ი მ მ ბ ი

რას ეწოდება ომონიმები? შეიძლება თუ არა, გარეგნულად
შსგავსი და მნიშვნელობით განსხვავებული ყველა სიტყვა ჩავთვა-
ლოთ ომონიმებად? რა წარმოადგენს იმის აუცილებელ პირობას,
რომ გარეგნულად შესგავსი სიტყვები ვცნოთ ომონიმებად?

სავარჯიშო 11. გადაიწერეთ წინადადებები და მიუთითეთ, ხაზ-
გასმული სიტყვები რა შენთვისევაში შეიძლება ჩავთვალოთ ომონი-
მებად. შესამოწმებლად გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი
ლექსიკონი“.

ისეთი ქიაკოკონა უნდა დაანათო, რომ ცამდის აღიოდეს იმასი.
ალი (ნ. ლომ.). არ წახვიდე, შეილო თორემ ტყეში ალი დაგ-
ხედება, წაგიჭერს ყელში სელსა და დაგახრჩობს! (ნ. ლომ.).

დათვი უგრანობლად ეგლო გულალმა... ჩამოსდიოდა სისხლი
წყალივით თითქმის ყველა ასოდან (ვ. ფ.). „ეგ რა ასოა, კატო,
შაა?—კატო შეაყენებდა კალამს და გულმოდგინედ აძლევდა პასუხს
თავის საყვარელ ძმას (ნ. ლომ.).

ბალი დამწიფდა ლალისურად, ძირს დაუბრია ტოტები (ა. წ.).
ზღვის ლელეა რვა ბალს აღწევდა... დაგეხვდება ბალი გაჩაღე-
ბული, ხალხი მრავალი (ა. წ.).

ეს არის ანი, ეს არის ბანი: ისწავლეთ, გენაცვათო! (ი. გო-
გებ.). საილის ბანზე გაუწართავთ გოგო-ბიკებს ცეკვა-ლხინი
(შ. მღვ). ჯაჯალამ დაიწყო სიმღერა, იმას სხვებმა მისცეს ბანო
(ა. ყაზ.).

იქ: ბარში ყველა ჩემი ტოლები მტრებში ვეფხვსავით დანა-
ვარდობენ (ა. წ.). ბარს დაკრავს, ბარს, ასე გგონია, დედა-მიწა
უნდა შუაგულანდე ჩაანგრისო (ი. კ.).

ქალს წარცხენა ხელის თითებზე მომსხო თვლიანი ბეჭედი
აუბრკვევიალდა (ლ. ქიაჩ.). მაშ, არ აეასრულებ? იმის სიტყვა გა-
უტეხელი ბეჭედი ჩემთვის! (ა. ყაზ.).

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუღრული. ისე სავსე უხვ
გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული... (გ. ტაბ.). რა მშენიერო
იყო ნამი ყვაილის გულზე (გ. ტაბ.). ქართულ კაბას ხშირად
მოქარგულ გულს უკეთებდნენ („შინამრეწვ.“).

ასე თენდება ხალისით სავსე ჩემი სამშობლოს ყოველი დილა
(რ. მარგ.). დ. გურამიშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში
მოეწყო ლიტერატურული დილა („ახ. კომ.“).

კედელზე იყო დაკიდებული... დასაჯრავი იარაღები: დაირა,
ნაღარა, დოლი. სალამურები (რ. ერისთ.). ბატკანი შეარჩიეს
ახალი დოლიდან, ნიშანი დაადევს შუბლზე (მიხ. მრეველ.).

გველსა სყრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი (შ. რუსთ.).
ბოლის ნაცვლად შეშებიდან ცეცალის ენები ამოიმართნენ
(რ. გვეტ.).

ყურით ჩვენ გვესმის ზარის რეკა. ფრინველების გალობა. აღა-
შინანის ლაპარაკი, მუსიკის ხმა (ი. გოგებ.). ლულუნი იგი ჩამრჩენია
გულს, მწუხარე არის ვით გლოვის ზარი (ი. კ.). სიძინდი ბევრად
მოსულა, ყველას დაუდგანს ზარია (თ. რაზიკ.).

ცარიელი თოფისა შორს მტერს ეშინია, ახლოს — პატრონ-
საო (ანდაზა). ოქრომკედელი რამდენს ტანსაცმელს დაიფერთხდა,
იმდენი თოფი ფარჩა, აბრეშუნი და ხავერდი ვარდებოდა ციდან
(ნ. ლორთქ.).

ხაჯარჯოშო 12. მოიფიქრეთ წინადადებები, სადაც ნახმარი იქ-
ნება მოცემულ სიტყვათა ომნიები. პასუხის შესამოწმებლად გა-

შოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და ალ. ენე-
იმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“.

კილო. კოდი. კოპი. კრეკს. ლაბა. ლამბი. ლამფა. ლარი. ლორ-
დი. მძიძე. ნამგალა. ნარდი. წეწს. წელი. ნაქა. ნებიერი. ომი. გა-
ოცდება. ცამი. სვამს. ტუში. ხალი. ალალი. გაზი. დალალი. ხერხი.
ძაძა. ხამი. ხანი. ჯინი.

ხავარჯიშო 13. წაიკითხეთ დაკვირვებით ა. წერეთლის ლექსი
„ალმართ-ალმართ“ და თეიმურაზ 1-ის „მაჯამა“. ამოიწერეთ ომო-
ნიმური რითმები და გახსენით თითოეული მათგანის მნიშვნელობა..

ა ნ ტ ო ნ ი მ ე ბ ი

რას ეწოდება ანტონიმები? როგორ სიტყვებში გამოიყოფა
ძირითადად ანტონიმები? რა ურთიერთობა არსებობს ანტონიმებს
შორის ფუძეთა აგებულების მიხედვით?

ხავარჯიშო 14. გადაიწერეთ წინადადებები. ხაზი გაუსვით ან-
ტონიმებს. შეადარეთ ერთმანეთს მათი ფუძეები.

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ კირია და იქ კი ლხინია (ი. ჯ.).

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.
(შ. რუსთ.).

ამაზედ ჰოცა ითქმის და არაუცა. ეს რალაც „მზიან-ჩრდილიანი“
სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შეილის სიხა-
რული. ჩრდილიანი იმიტომ — რომ ეწუხებოდა დედური წუხილი,
სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვას-
თან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და
ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა (ი. ჯ.). ყველა გონიერი კაცი,
თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისთვისაც კი ოსტატია (ი. ჯ.).

სიყვარულო, ნიკო სრულო,
წამ ტკბილო და ხანგრძლივ მწარე,
ჯერ აქვანო ნეტარების,
მერმე კუბოვ და სამარე!
დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ,
უგზო-უკვლოდ მოარული.
სად არს შენი დასაბამი?
ან სადა გაქვს დასასრული? (ა. წ.).

ვადიდე გმირთა სახელი,
მკლავი და სულით დიდობა,
დაეძრახე ქვეყნის ორგული
და შეურაცხვეყვ ფლიდობა;
სიმაძღრე სიმშვილზე ვცეალე,
ფუფუნებაზე — მწირობა (ვ.-ფ.).

ხვარჯიშთ 13. ამოიწერეთ ხაზგასმული სიტყვები. მოიფიქრეთ
შანი ანტონიმები და მიუწერეთ გვერდით.

როცა ლუარსაბა იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბრძანდებოდა, საკედილი იყო, რომ ვისმე მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ე. ი. ტახტზედ დარბაიხლურად და პათიოსნად გადაგორგადმოგორება (ი. ქ.). გაკერპებულმა დედამ საიეს არ ამოაბეჭდვინა მწვაფი ტკივილი გულისა, ძალიხ-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა... იმედგაწყვეტილობის ხუხხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი (ი. ქ.). ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერაეინ შეედრებოდა. მეფის ერთგულმა, ბატონის მორჩილმა და ქვეყნის მოყვარულმა გეარიც კი დააწინაურა (ა. წ.). საშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამაწყობებელ მდგომარეობაში ნახა წარჩინებულნი ქართველნი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგანაც დაინახა, თუ რა ღირსეული ვაეკაცობით იტანდნენ ამ ხათაკილო სასჯელს მისი მეგობარნი (ი. გოგებ.).

ძმათმოყვარეს, კეთილს, ხათნოს, უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლებებმა ძია ესტატე დაარქვეს (ვ.-ფ.).

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა შედგენილობისა
და გამოყვანების თვალსაზრისით

რას წარმოადგენს ენის ლექსიკური შედგენილობა? როგორ იცვლება ლექსიკური შედგენილობა? რა იწვევს ენის ლექსიკური შედგენილობის ცვლას?

ხაფარჯიშო 16. ამოიწერეთ ის სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ იხმარება. სადაც ეს შესაძლებელია, მიუთითეთ, რითაა გამოწვეული მათი გამოსვლა ხმარებიდან.

მაშინ იწყო უჯეროსა განებად ვარსკენ და თერკითა თვისითა დასტრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაპჟლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევედა, ვითარცა მკეცი მძვნვარს ყიოდა და იხასდა ვითარცა ცოფი (შუშან.). ხილო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახმისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისაჲე წმიდისა ვანად ღისრულ იყო კითხვად რაჲსჲე სიტყუსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და ჰყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გკითხრა ჩუენ ესე ყოველი (შუშან.). აეთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა (შ. რუსთ.) და მათ ეამთა მცლოზელის იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის-მსახური კელმწიფს დიდი ბაგრატიუნინი -- აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნს, რომლისა ჯამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთაერობაჲ მისი და შეილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისანღე ეამთა. და კელმწიფისა მის წინაჲჲე და შეილთა მისთა დიდებულთა მათ კელმწიფეთა წინაჲჲე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ (გრ. ხანძთ.).

ხაფარჯიშო 17. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ ამოკრიბეთ ზოგიერთი ისეთი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც ამჟამად აღარ იხმარება. სკადეთ მათი შეცვლა თანამედროვე ქართულ ენაში ხმარებული სიტყვებითა და გამოთქმებით.

ხაფარჯიშო 18. ამოწერეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ თანამედროვე ენაში გვხვდება. რით უნდა აიხსნას მათი არარსებობა ძველ ქართულში?

მეტი წუხდა, რომ კომკავშირის უჯრედი და ტარასი ასე ზრუნავდნენ მასზე (კ. ლორთქ.). ქუთაისში ტარასიმ გიგიო, რომ მათი ტრაქტორი გზაში იყო და ზემოციხეში მალე ჩამოვიდოდა.

— ახლა ტრაქტორისტი უნდა ვეძებოთ, თბილისში მოგვხედება წასვლა, — უთირა ტარასის სამაზრო კომიტეტის მდივანმა (კ. ლორთქ.). ხალაი ჩუმი გულისფანცქალით უსშენდა რადიოს ცნობას ოზის დამთავრებისა და გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ... მიტინგი პანტიანის კოლნეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, კენჭიანთ შალვამ ვახსნა და პირველი სიტყვა აკმია ხუცურაულს მისცა (მიხ. მრევლ.). დილიდან სალამომდის ისმოდა ტრაქტორის გუგუნი და სალუწი ჩანქანის თასმების შრი-ალი (მიხ. მრევლ.). კაკლის შორებით დატვირთული ავტომანქანა ფრთხილად გადასცდა ბოგირს. კაბინის თანჯარიდან ჩანქანის წამ-ყვანმა გამოაყო თავი (მიხ. მრევლ.). ეს კიდევ რაა, — განაგრძობს შემანქანე. — როცა კიდევ 40.000 კილომეტრ მაგისტრალზე ელექ-ტრონი გადაივლის, იმ დროისათვის ახალი ელმავლები იჯირითე-ბენ რკინიგზებზე. ქარხანამ უკვე მძილო საპატიო დაკვეთა — დააპ-როექტონ და თბილისის წარკით შექნან სრულიად ახალი ტიპის რვაღერძიანი ელნავალი „თბილისი-8“. მოსკოვისა და რესპუბლი-კის დედაქალაქის მეცნიერები ქარხანასთან ერთად ქნნიან აგრეთვე ყველაზე პერსპექტიული — ცვლადი ერთფაზიანი დენის ელმავალს. („მნათობი“, № 5, მაისი, 1960). ჩვენ ზუსტად ვიცით მზის გარ-შემო ვენერას შემოვლის პერიოდი, კარგად ვიცნობთ მის ორბიტას, მაგრამ არ ვიცით, რა პერიოდით ბრუნავს ენერა თავისი ღერძის გარშემო („დროშა“, 4. IV. 1961). პარადესორი ქალი თანჯარას-თან დინჯად იღვა. გომარელს ისე მოეჩვენა, თითქოს ნიშნის მოგებით მისჩერებოდა. კარი გაიღო. აუდიტორიიდან გაძოვიდა... თთაიში დირექტორი შემოვიდა, თან კომისიის წევრები მოჰყე-ბოდნენ („მნათობი“ № 7, ივლისი, 1960).

ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების საშუალებანი

რა დამოვიდებულება არსებობს ლექსიკის სიმდიდრესა და ენის სიმდიდრეს შორის? რა ბედი ეწეოდა ამა თუ იმ ენას. რომ მისი ლექსიკური შედგენილობა განუწყვეტლივ ღარიბდებოდეს. მცირ-დებოდეს? რა გზით მიმდინარეობს ენის ლექსიკის განვითარება-გამდიდრება? რა შეადგენს ენის ლექსიკური შედგენილობის გა-დიდრების საშუალებებს?

რას გულისხმობს წარმოქმნა? როგორია წარმოქმნილ სიტყვათა ფუძის აგებულება? რა ურთიერთობა არსებობს ძირეულსა და წარმოქმნილ სიტყვებს შორის? რატომ ვთვლით წარმოქმნას ენის ლექსიკური შედგენილობის გამდადრების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად?

სავარჯიშო 1^ა). ამოიწერეთ წარმოქმნილი სიტყვები. თითოეულ მათგანში გამოაყავით ძირი და მაწარმოებელი თავსართ-ბოლოსართები.

აქ მოაყავს ხოლმე ოთარაანთ ქკრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ თუ საზამთროდ (ი. ჭ.). თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალეები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ (ი. ჭ.). საწერეალოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია საეანეც (ა. წ.). მამაჩემი წამოეარდა ზეზე და მიაყვირა: „ღმერთმა უმადური გამყოფოს, უსადილოდ დამტოვეთ! დღეს ბზობაა, მაგას ერთი კარგი ზურგიელი მერჩიო (ა. წ.). ცუდად იყო საქმე, თუ ის უცხო მეგობრები სამიყ მხრით არ მისდგომოდნენ და ბრძოლა არ დაეწყათ! საარაკო იყო მათი ლახტის ცემა! (ა. წ.). თვალის სინათლესა ჰქარგაუდა, მაგრამ სამაგიეროდ ყური ძალას იჩენდა (ა. წ.). სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა... მთელა გუნდი თავგებისა დაიძრა ამბის გასაგებად: წინ მიუძლოდა სახელოვანი ფიცაელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით (ვ.-ფ.). არწავს მხარტვეს ლვინო ჯიხვებით. იგი დაუზარებლივ სვამდა და ძლაერაც გამხიარულდა, შემოსძახა თავისი საზარელი ხმით რალაც საგმირო სიმღერა (ე.-ფ.). უჯიშო კაცი უდროვოდ როს გილალატებს და უადგალო ადგილს! სწორედ უჯილაგო ადამიანი გამოდგა ჩყენი მოჯანჯირე გელა (ვ. ბარნ.). ან სასიხარულო ამბის აღსანიშნაყად მამიამ მეუურა მეჯლისი გამართა თავის კარს (ე. ბარნ.).

თ ხ ზ ვ ა

რას ეწოდება თხზვა ანუ კომპოზიცია? რა მსგავსება და განსხვავება შეინაშნება თხზვასა და წარმოქმნას შორის? რა გზით მიიღება ქართულში თხზული სახელი ანუ კომპოზიტი?

სავარჯიშო 20. ამოიწერეთ თხზული სახელები, დაშალეთ შე-
მადგენელ ფუძეებად და მიუთითეთ, რა გზით არიან ისინი მიღე-
ბული.

შიშველ-ტიტეღნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის
ორღობებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინამოსამსახურე -- ჩვენა
გვცემდა; მამინაცვალი იყო -- ჩვენა გვცემდა (ი. ჯ.). გლეხაკობის
კვალობაზედ ოთარაანთ ქვრიუს ბევრი შეპნატრებდა. ამას ქმრისა-
გან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი... და ოციოდ დღის სახ-
ნავ-სათესი მიწა (ი. ჯ.). კუპრსავეთ შავი და კარგად დაკოკრებული
წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენი-
ლად მოყვანილს სახესა (ი. ჯ.). ბიჭსა და გოგონებს აკრძალული
ქკონდათ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და თამაშობა. დღე ვერ
ბედავდნენ და ლამაზობით რომ თავისუფალი ყოფილიყვნენ და
ვერაყის დაენახათ, ბატონიშვილებს, ყმაწვილებს განსრახ აშინებ-
დენ (ა. წ.). წრეში ვეფხივით შემოვარდა ერთი ვილაც ტანწვრილი,
მალალი, მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა, შეხედა მო-
პირდაპირეს და შეჩერდა (ა. წ.). მოტეხილ-მოგლეჯილი ხეხილის
ბადლად ახალი დარგო და ახარა (ვ. ბარ.).

ველებზე ბზინვენ ყვავილნი,
თამარ-დედოფლის თვალეხი.

კლდის პირზე მოსულ პირიმზეს

გულ-მკერდში ვენაცვალეხი!.. (ვ. ფ.).

მოზაგონდა ის სურათი, მამაჩემს რომ მამასახლისმა სილა გა-
არტყა და რალაც საკრეფ ხარჯებში ერთადერთი ჩალხანი ქვაბი
წაგვართო... (ვ. ფ.).

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,

ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას!.. (გ. ტაბ.).

აჰ, ნეტამც კიდევ ედინა

ბულბულის რაკრაკს მთვარეში,

აჰ, კიდევ ჩამახედვინა

იაგუნდჩამდგარ თვალეხში (გ. ლეონ.).

ს ი ტ შ ვ ა თ ა ხ მ ხ ხ მ ბ ა

რით არის განპირობებული ამა თუ იმ ენაში სიტყვათა სესხება?
არსებობს თუ არა ისეთი ენა, რომელშიაც არ გვხვდებოდეს ნა-

სესხები სიტყვები? რა ადგილი უჭირავს სიტყვათა სესხებას ენის ლექსიაურა შედგენილობის გამდიდრებას საქმეში? რას გულის-მძობს სიტყვათა შუალობითი და უშუალო სესხება? რა არის კალ-კი? რას ეწოდება საერთაშორისო სიტყვები? რას გულისხმობს პუ-რიზმი? ბარბარიზმი? როგორია საბჭოთა ენათმეცნიერების პოზი-ცია უცხოურ სიტყვათა სესხებისადმი?

სავარჯიშო 21. დაუვირდით ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს: რო-ნელი მათგანია საკუთრად ქართული და რომელი ნასესხები? პასუ-სის შესაძოწრებლად გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

არწივი. არჩვი. ასანთი. აბზაცი. აბიტურიენტი. აბსტრაქცია. აბსოლუტური. ავაზა. ადათი. ადაპტაცია. აშენება. აშკარა. ახმაზი. ახარფეშა. აზიზი. აეტორი. ალაში. ალბინიზმი. ალკოპოლი. ალმა-ნაზი. ალფაბეტი. ასპარეზი. აჩრდილი. ათი. აჯა. აჯამი. აჯობებს. ბაგა. ბადრი. ბაზარი. ბაზისა. ბაიყუში. ბალი. ბალადა. ბალახი. ბიზნესმენი. ბიბლიოთეკა. ბილეთი. ბიურო. ბიოგრაფია. ბნელეთი. ბორჯავს. ბრკყალი. ბიოქიმიკა. გვარი. გვარდია. გვიან. გზა. გიგან-ტი. გინწაზია. გიური. დასტა. დაფი. დაფნა. დეგენერატი. დებო-ში. დედა. დემოკრატია. დიდება. დიქტატორი. დოგმა. დუგმა. დუელი. დუნმანი. დღე. ევკალიპტი. ზეუფე. მონასტერი. მონარქია. ნტრედი. ნუხამბაზი. ნორმალური. ნოქარი. ნორჩი. პროლეტარი-ატი. პროსპექტი. სკვერი. ტაგა. ტკბილი. ტუზი. უბე. როზგი. რეკლამა. რათმა. ლექსი. ლექსიკონი.

სავარჯიშო 22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ დახმარებით გაარკვიეთ: ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები შეთვისე-ბული გვაქვს შუალობითი თუ უშუალო სესხების გზით?

აბიტურაენტი. აბონემენტი. აბონენტი. აბორიგენი. აბრევიატუ-რა. ავტაცია. აგლუტინაცია. აგონია. აგრესია. აგრონომი. ადაპ-ტაცია. ადმინისტრაცია. ადრესი. ავანსი. ავარა. ავაზა. აეტობი-ოგრაფია. აეტორიტეტი. აეტორი. ახარფეშა. აზიზი. აზოტი. აიაზ-მა. აისბურგი. აკროპოლი. ალგებრა. ალიბუხარი. ალილუია. ალი-ტერაცია. ალტრუიზმი. ამირეჯიბი. ასპარეზი. გენერალისიმუსი. გეოგრაფია. დემონი. დემონსტრაცია. ეკლოგია. ეკლესია. მონას-ტერი. იუნკერი. კორიფე. პაკეტი. პარტიზანი. რეცენზია. რითმა. ტრაგედია. ტრუდოვიკი. კადეტი. ოტზოვისტები. მონაზონი. ტრა-დიცია.

სავარჯიშო 23. ქვემოთ წარმოდგენილია ამონაწერები „რუსულ-ქართული ლექსიკონიდან“. დაუკვირდით, რა შემთხვევაში გვაქვს საქმე კალკთან და რა შემთხვევაში არა.

Берѣза არკი, არყის ხე. Бес ჭინკა, ქაჯი. Номномета-
ние ბონების ტყორცნა, ბონების დაშენა. Вагоностро-
ительный სავაგონთმშენებლო. Ватник დაბამული ჯუბა,
ქურთუკი. Верѣвка თოკი, საბელი. Виноторговец ღვინო-
ნით მოვაკრე, სირაჯი. Глыба ლოდი (ქვასა), თოში (ყინულასა),
ბელტი მიწისა. Градостроительный ქალაქთმშენებლობისა,
საქალაქთმშენებლო, ქალაქთსაამშენებლო. Дачка პატარა ავა-
რაკი. Деревообделочник ხის დამმუშავებელი (მუშა).
Десятилетняя годовщина ათი წლისთავი. Ж. ж ზღარბი.
Естествоиспытатель ბუნებისმეტყველი, ბუნების ნკვლევა-
რი. Жир ცხიმი, ცხინეულა, ქონი. Жиропот სპეც. ცხიმოვლა
(ცხვრისა). Он приказал долго жить თქვენი ჭირი წაალო,
გარდაიცვალა. Завоеватель დამპყრობელი, დამპყრობი. За-
градительный отряд გადამლობი რაზმი. Измолотья
დადქვა, დაიფქვება. Искусствоведение ხელოვნებათმცოდ-
ნეობა. Как сказать როგორ ვთქვა, როგორ გითხრათ. По-
платочка სათამაშო ნიჩაბი. Лучепреломление სხივთ-
ტება. Машино-испытательный მანქანის გამოსაცდელი.
Наследник მემკვიდრე. Насочинить скверные сти-
шки უსუირო ლექსების მონიშნება. Год великого пере-
лома დიადი გარდატეხის წელი. В его жизни произо-
шел глубокий перелом მის ცხოვრებაში ღრმა გარდა-
ტება მოხდა. Просить слова სიტყვის თხოვა. Пассажир
проспал станцию მგზავრს ძილში სადგური გამოეპარა.
Противогаз აირწინალი. Пятилетка ხუთწლედი. Разум
გონება. Разъяснительная работа среди населе-
ния ამხსნელობითი მუშაობა ზოსახლეობაში. Самовяз ყელ-
სახვევი. Самодействующий затвор თვითმოქმედი საკე-
ტი. Тягомер წევასაზომი. Увоз წაყვანა. წალება (არაქვე-
ითად): გაპარება, მოტყუება. Ударник колхозных полей
საკოლმეურნეო მიწდვრების დამკვრელი. Черный глаз ავი
თვალი. Шинящие согласные შიშინა თანხმონენები.

სავარჯიშო 24. მითითებული ტექსტიდან ამოიწერეთ საყოველ-

თაოდ გავრცელებული, ე. წ. საერთაშორისო სიტყვები, მიეკით მათ სათანადო ახსნა-განმარტება. პასუხის შესამოწმებლად გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და „Словарь иностранных слов“ (ი. ვ. ლიოხინისა და ფ. ნ. პეტროვის რედაქციით, 1949 წ.).

დაუკვირდით; წარმოდგენილ ტექსტებში სად შეიძლება და სად არა უხეხოური სიტყვების თავისუფლად, აზრის დაუმახინჯებლად შეცვლა საკუთრივ ქართული სიტყვებით.

პროცესი საერთო ქართული ენის შექმნისა, რომელიც ლიტერატურულ ენად იქცა, უფრო ინტენსიურად ქართველის მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაწყებულა; ამ ფაქტის შემდეგ ქართული ცხოვრების ზრდა-განვითარება მიისწრაფის იმისაკენ, რომ ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ტერმინი ქართი, ან უფრო სწორად, ქართლი, გამხდარიყო ნაციონალურ-კულტურულ ტერმინად და ქცეულიყო საქართველოდ, საერთო ლიტერატურული ენის შექმნამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა...“ (ე. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 27—28). კარგა ხანია, რაც გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მტკიცე საფუძველის შესაქმნელად ეგრედ წოდებული დამამარე სამეცნიერო დარგების, ქართული ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა, ქრონოლოგიისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესწავლა და შექმნა იყო აუცილებელი... (ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტუმ, II, 1922—1923, გვ. 20). საბჭოთა ლიტერატურა მთლიანად იზიარებს, ჰარმონიულ ერთიანობაშია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ნორმებთან და ტენდენციებთან. ამას ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რადგან ზოგს მიაჩნია, რომ ჰარმონიულობა მომაკვდინებელია ლიტერატურისათვის, რომლის ძირითადი პათოსი ცხოვრებასთან კონფლიქტია, ან ყოველ შემთხვევაში ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინცაა. ასეთი მოსაზრებების არსენალი რევიზიონისტების ბანაკში დგას და ჩვენ არ გვმართებს მისი დასესხება...“ („მნათობი“, 1961, 1, გვ. 84). ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში არაერთი ქართველი პოეტი სცოდავდა რიტორიკულობით და დეკლარაციულობით, ბევრ მათს ლექსში ყრულ ისმოდა ლირიკული გმირის ხმა...

ლარიკა თითქოს შორცხვად იყო განდევნილი პოეტური პორტიონ-ტიდან... („ცისკარი“, 1961, № 9, გვ. 117).

სავარჯიშო 25. ქვემოთ მითითებული ბერძნულ-ლათინური წარმოშობის მორფოლოგიური ელემენტები ხშირად გვხვდება საერთაშორისო სიტყვებში თავსართებად ან ბოლოსართებად (მაგ.: აგრონომია; აგროტექნიკა; გეოგრაფია, ბიოგრაფია, რეკონსტრუქცია, რეორგანიზაცია...). მოიფიქრეთ ამ ელემენტების შემცველი სიტყვები და გადმოეცით მათი მნიშვნელობის ახსნა-განმარტება. საწიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ლექსიკონები.

ა- (-ან) ბერძნ.; ავი ლათინ.; აგრ ლათინ.; ანტ(ი) ბერძნ.; ბიო ბერძნ.; გე ბერძნ.; გრაფ ბერძნ.; დემ ბერძნ.; ეთნ ბერძნ.; ვიცე ლათინ.; ზოო ბერძნ.; იმპერ ლათინ.; ინტერ ლათინ.; კილო ბერძნ.; კოსმ ბერძნ.; კრატ ბერძნ.; ლოგ ბერძნ.; მეტრ ბერძნ.; მოტო ლათ.; ნეო ბერძნ.; ნომ ბერძნ.; პსევდ ბერძნ.; რე ლათინ.; სოფ ბერძნ.; ტელე ბერძნ.; ტექნ ბერძნ.; ულტრა ლათინ.; ფილ ბერძნ.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, როგორც ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება. რას გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება? რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება?

სავარჯიშო 26. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასა“ და „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ (იხ. ი. ინჩაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1948—1949). დაქმნეთ ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა თანამედროვე ქართულთან შედარებით გაფართოებულია ან დავიწროებული. საკონტროლოდ გამოიყენეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

საუკველთაოდ ხმარებული ლექსიკა. აქტიური და პასიური მარაგი

რას გულისხმობს ცნება, საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკისა? ჩვეულებრივ რა სიტყვებისაგან შედგება საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკა? რას ეწოდება აქტიური და პასიური მარაგი ლექსიკისა.

ხავარჯიშო 27. აქ წარმოდგენილი ტექსტებიდან ცალ-ცალკე ამოიწერეთ ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის აქტიურსა და პასიურ მარაგში შეზავალი სიტყვები.

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდან. სწავლა იქ შეესრულებინა. ველარც დედას მოუსწრო, ველარც ღამას, ორივენი დაჰბოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ლა ჰყვანდა და დაძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მანულები დარჩათ მამისაგან და იმავე სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარა-ანთ ქერივი იყო (ი. კ.).

...სადედოფლო:

მაქვა და თითისტარი;
კეცი და ჩოგანი;
ლარი და საჩეჩელი;
პრასი და ოხრაბუში;
მეწველი ძროხა;
კრავიანი ცხვარი...

თხას... თხას არ გაუშვებს: ნამყენ ხეხილით საცხე კარ-მიდამოს გადალრღნის! (ნ. ლორთქ.).

ძველებურ განცდით ედარაჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომტინოს —
მაგრამ ზურნის ხმა ვილაცას მიაქვს,
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორტინოს.

დუდუკის ნაცვლად — ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ.
ბულბულს — ყაფაზა. გრძნობას აღვირი.
აღარც დუდუკი... აღარც ყიყინა...

(ი. გრიშ.).

ბრტყელს და გამოწეულს, ამობურცულს მკერდზედ ეკიდა სქელი დუდგულის მასრებიანი სასწრაფო და, მასთან ერთად, — შავი რკის საპირისწამლე. ბერო თოფ-იარაღის მოყვარული და ამასთან განთქმული მონადირე იყო; სადაც უნდა წასულიყო, თოფი განუშო.

რებლივ ეხარხედ ეკიდა, მუდამ ნადირობის ამბავს გაიძობდა, — გაიმბობდა, სად როგორ დაჰკრა ხარ-იჩრქეს თოფი და „დააძუხლის-კვერაფა“: სად ჯიხეს „ასწიკა“ და „დააბჯინა“ რქებზე... ბეროს სამჯერ აქვს აწარა ათავებული და თოფიც სამჯერ აქვს დამარხული მიწაში... (ვ.ფ.) შეუდარებელია ვაეას მიერ ბუნების ამოლოგია როგორც „გველისმქამელში“, ისე სანა პოემებსა და ლექსებში. უნატიფესი გრძნობებით უმღერის პოეტი ზოგის დიდებულებას, ღვიას და ქუჩს, ჯიხვებსა და არჩევებს, ყოველ არსს, ყოველ ქმნილებას. დედა ბუნებას. ზისი არწივები, მისი ჯიხვები და ჯეირნები მუდამ იარსებებენ ქართული პოეზიის პანთეონში; როგორც ზისივე ალაზიანები, გზირები. ამიტომაც გვიყვარს ჩვენ ვაჟა-ფშაველა როგორც ტკბილზოვანი ორფეოსი ქართული პოეზიისა“ (ქ. გამს.).

პირველ ეტაპზე ავტომატიზაცია განხორციელდა — ტექნიკურად შედარებით ადვილად მისაღვამ უზნებზე. პარალელურად მიმდინარეობდა სამუშაოები შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. დანუშავდა და დაინერგა შემოღვლინავი დგანების უზნის ავტომატური მართვის ორიგინალური სქემები, რომლებშიც გადამწოდების ნაცვლად გამოყენებულია ფოტორელები, რაც ტექნიკურ სიაალებდ ითვლება... (ქურნ. „დროშა“, 1951, № 2). ათეულის ეთაურრობა მე ეიკისრე. უმაღ შევავთასეთ შექმნილი ვითარება... განვსაზღვრეთ ჩვენი მოქმედების ორიენტირი, ზოვახდინეთ მოწინააღმდეგის თაედაცვის წინა კიდის დაზვერვა. ეებრძოლები გავანაწილეთ ათი.თხუთზეტი მეტრის დაშორებით, ყველას მიეუჩინეთ მოქმედების არე და თოფ-ტყვიამფრქვევების მველაევი ცეცხლით შეუჩერებლივ განვავრძეთ ბრძოლა პლაცდარმის დასაკავებლად და გასათართობლად... (ქურ. „დროშა“, 1961, № 6).

დიალექტური ლექსიკა

რას გულისხმობს დიალექტური ლექსიკა? რა მიზართებაშია ერთმანეთთან დიალექტური ლექსიკა და დიალექტიზმები? რა როლს ასრულებს დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების საქმეში? როგორია დიალექტიზმების გამოყენების არე მხატვრულ ლიტერატურაში?

სავარჯიშოა აა. ქვემოთ წარმოდგენილია ნაწყვეტები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან. ამოიწერეთ დიალექტური ლექსიკის

შეზღვენილი სიტყვები და მიუთითეთ, ქართული ენის რომელი კილოდანაა შემოტანილი ისინი. განმარტეთ, რა დანიშნულება აქვს დიალექტიზმების ხმარებას ანა თუ ინტენსივურ ნაწარმოებში.

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თითონ მკითხა მე:

— შენ რაი მიღების ხარ?

— ქართველი ვარ, განა ვერ შემატყვე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალაფარ არა გაქვენ ქართველთა: რუსად

ნორთულხარნ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

— თვალთათვის ტყობად საზასელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვანური, რუსიცი, თა-

თარიცი, სხვა მიღეთიცი (ი. ქ.).

სტუმარ-მასპინძელი დასხდნენ. მაგრამ რადგანაც ერთმანეთს ეხატობოდნენ, შეყრის მიზეზზედ ლაპარაკის დაწყებას ერთმანეთს აცლიდნენ.

— ... მაი, ვახშად აქ დარჩი, მიიწვია მასპინძელმა.

— დამირჩეს შენი თავი! ბარემ რეც შინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ხელმარტობას რაი ვუყო? ცხორი ტიალად დამრჩა და ნელუბების.

— კარგია-ლა ჩე!.. ცხორს რაი უნდა? მწყემსები იქ არა ჰყავს?—
უთხრა მასპინძელმა და თხოვნა განუმეორა: — დარჩი, ღვთის მადლსა.

— ეერა, ღვთის მადლმა, ვერ დაერჩები, ... შენთან ბატარაი საქმე მქონდა და მთიიამ იზად ჩამოველ (ა. ყაზ.).

ჩემ რა იკითხვის, დედილას,
უკლოსი, ბედით შაეისა,
დავკარგე ყველა თვის-ტომი.
ვინაც-კი მყვანდა თავისა...
წარღვნა დაგვეცა ხოზარელთ
წყეულის თათრის ჯარისა,

ზამრთა შაკლეს ზტერს თავი
ხსენება გასწყდა კაცისა... (ვ.-ფ.).

— მერე კალანდამდი უნდა გადხადო ერთი თუმანიო? კითხვა გოგიამ თავის ცოლს კარგი ხნის ფიქრის შემდეგ.

— ამ სამ დღეში ვინც არ შემოიტანს, მოთბრიანო, — უპასუხა ცოლმა.

— ღმერთი მის ოჯახს ააშენებს ისე! ზავოტი ნაქ, თუ სა ეი-შოვო ასე ელანძე თუმანი! ნაკალანდებსაც კი მიირთუმენ, თუკი ვიშოვნიდე! თუმანი! ძაან ადვილი კი გონიან იი თუმანი! მთელი ზამთარი რომ ვიმუშაო, ერთ თუმანს ვერ ვვიღებ. არ ეყვენ, შარ-შან რომ დაგვაძერეს ტყავი! ფირალი გეიქცაო! რა ვქნა ზე, რო გეიქცა! (ეგნ. ნინ.).

ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი, რომ მარტო ერთი შეხედვით გული გაგეხსნებოდა... ქალი უკეთეს ვერ დეიჩემებდა. მარა რად გინდა, ვერ დევიცევი, ასე გამითხარეს ქათმებმა, — ჩენმაც და საეისნაც!... ვერაფრით ვერ შემოვუარე!.. იცოცხლე, ეს ხახვი, ეხლა-ამას რომ ხედავ. ეს რაა იმასთან შარშან რომ იყო... გადღირია. ბატონო, გადღირია, მარა რანეირად! ვიღამ მოლია! (დ. კლდ.).

მეიცა... რაეა იყო ახლა, ეს საქმე? მაისა იყო, კობინჯრობა; ძაან ადრე დილაზე ბაზიამ ნასუქა გოქი დაქლა... თვითონ გამოქუქა, გაბუტა და შამფურზე წაშოგო... (ნ. ლორთქ.).

პროფესიული ლექსიკა

რა წარმოადგენს პროფესიული ლექსიკის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს? რას ეწოდება პროფესიონალიზმები? როგორია პროფესიული ლექსიკის მინარტება საერთო სააღლაო ენის ლექსიკურ შედგენილობასთან.

სავარჯიშო 29. ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტებიდან ამოიწერეთ პროფესიულ ლექსიკაში შეშავალი სიტყვები. მიუთითეთ, რომელი პროფესიისთვისაა დამახასიათებელი ეს სიტყვები. განმარტეთ, რით არის განპირობებული მათი გამოყენება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

იყუჩა. საუბრის თემის შეცვლა განიზრახა.

ნამატის მუშა-ზედაპირს გრაფიკის ხსნარით ეპოხავდით, — აქვა მან, თითქოს ადრევე დაწყებული ლაპარაკი განაგრძო.

შარშალიტიო შეეცვალეთ. ნაშატის წყობრიდან გაზოსელა სავ-
რძნობლად შემკირდა, სხმულიდან მახსნავ გაიოლდა...

მილსავლინავ საამქროსთან ზივედით.

ჩეგზური შედგა, მიაყურა.

მძლავრი, ათასხმოვანი ამაური გამოდიოდა.

— გესწის? — ითხრა მან -- ზუსიკა!

...??

... ზუსიკა. ინდუსტრიას თავისი ზუსიკა აქეს.

(„მნათობი“, 1961, № 9).

თესვანდის სულ რალაც ოციოდე დღე დარჩა, მოვასწრებთ მა-
ნამ იმ ქვარნალის დასათესად ნონადებს? უნდა მოვასწროთ, --
თვითონვე გასცა ამ კითხვას პასუხი. პირველ რიგში ბუჩქნარე
უნდა გაგვადგოთ, ეკალბარდენი უნდა მოვსპოთ, ზერე იცით, ამას
რანხელა შრომა უნდა?... რამდენი მუშააელია საქირო. ხელით, ბა-
რით, წალკატითა და წერაქვით რომ შევიარალდეთ? მაშ, როგორ,
რანაირი ტრაქტორით დაეხნათ ისე ღრმად, ისე როგორ გადმო-
ვებრუნოთ ნიჭა, რომ ფესვენი და ძირკვები ზალლა დარჩეს?
(„მნათობი“, 1961, № 1).

ჩვეულებრივ კი ამ ვარსკვლავს რანზე შეარქვეს. დღესაც არის
რამზე ამ თანავარსკვლავედზე. დღესაც სედაეს ტელესკოპით ამ
ვარსკვლავს წისი აღმოჩენი, მაგრამ იგი დასუსტდა და ისე აღარ
კაშკაშებს. უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, უჩინარდება,
სულ კი ზაინც არ გაქრება. შეიძლება უჩინარი გახდეს ტელესკო-
პისთვისაც კი, მაგრამ იქნება, იარსებებენ ამ თანავარსკვლავედში
და მხოლოდ მეცნიერებს შენორჩეათ წისი ანბავი, რომ იგი ერთ-
ხელ უეცრად აინთო და აკაშკაშდა, რადგან მაშინ მის ატმოსფე-
როში ხდებოდა სწრაფი და გრანდიოზული ცვლილებები („დრო-
შა“, 1961, № 3).

აი გადაწყდა ოპერაციული ჩარევა, რომელიც მიმდინარეობს
ასისტენტებისა და თერაპევტის აქტიური მონაწილეობით. ისინი
კარდიოსკოპის საშუალებით გულის კუნთში აკვარდებიან უმკირვე-
ცვლილებებსაც კი. ოქსიგენომეტრის ზემეობით ერთდროულად
ვგებულობთ ჰენოგლობინის რაოდენობას სისხლში ოპერაციის
მთელი წსვლელობის დროს („დროშა“, 1961, № 4).

საბჭოთა წყალქვენა ნავს სატორპედო კატერები დაედევნენ.
რანდენიზე საათის განწავლობაში წყალქვეშ საკვდრო-სასიცოცხლო.

ბრძოლა იყო გაჩაღებული. საზრიანი მანევრირებით ი. იოსელიანმა კიდევ ერთი კატერი ჩასძირა.

ახლა უფრო გააფთრებით მიიტანეს იერიში მამაცი მეთაურის ნაეზედ და უანგარიშოდ უშენდნენ სიღრმისეულობებს. ხშირი აფეთქებებისაგან ზღვა დუღდა. იოსელიანის მანაცი ეკიპაჟი იძულებული იყო დაეზოგა ტორპედოები და მოფიქრებული მანევრირებით თავს აღწევდა მტერს („დროშა“, 1961, № 6).

ქარგონულ ლექსიკა

რას ეწოდება ქარგონი? რა სიტყვები და გამოთქმები შედის ქარგონულ ლექსიკაში? რა მიზნით იყენებენ მწერლები ქარგონულ ლექსიკას ნხატვრულ ნაწარმოებებში?

ხავარჯიშო ვმ. დაკვირვებით წაიკითხეთ ნაწყვეტები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან. ნიუთითეთ, სადა გვაქვს საქმე ქარგონიზმებთან. განწარტეთ, როგორ და რა გზითაა მიღებული ქარგონული ლექსიკისათვის დანახასიათებელი სიტყვები.

გ. ერისთავის კომედიიდან „გაყრა“

ივანე

ეტო უეასნო, მიკირტიჩ!

ეტო ნე ჩესტნო!

მიკირტუმ (იციინის)

კნიაზ, ერთი ჩესტის ლათაიას გითხრამ! (იძღერის)

ქტუ ნა სვეტე ჩესნა ბუდით,

ბუდიტ ნასიტ ხლება გუდით! (იციინის)

რა ექნათ, კნიაზჯან, ჩვენი ყმა. გუთანნა, პური-ფულის სარგებელია. აი, ნაღდი ნორცეს თქვენი ძმა... კუზუნ პრუცენტ ყაბული ძა... რაღდენი წელიწადია წართვებს, დახისპორ კაპეიკ ნუნაით. ცხენის ქირამ განაკოტრა, კნიაზის ნზემ; ზა ოდნა კუნეც პლტარა რუბლი პლაჩუ. ისე ვენდე შენი ძნა. არც აბეზჩითა რამე ნაქვს, კნიაზჯან. რატომ შენ არა იქმ ყნის პრავიტსა... ზაგრამ კორი გავეიგონე, ძმები გაყრასა შერებით?...

ივანე

ღიახ, უნდა გავეყარო!

მიკირტუმ (ჩუმათ)

შენ ჰკვიანე, არ მოტყუვდე; ანდუყაფარ ყალბე. გეზნები. ჰა!

ა. ცაგარლის კომედიიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ“

დავით

ძალით შენ ნუ მოძიკვდები. კისერი არ მონგლიჯო!

გიქუა

ეგრეც რომ იყოს. მითომ რა ძალიან საკვირველი იქნება შენი კისრის მოგლეჯა!... რა ძალიან ჰყვირი? რა მინდაო? მითომ კნიაზი რომ ხარ. შემაშინებ? (გულზე ხელს იდებს). ოპ, გული არ მიკანკალებს შიშით! ტეპერ კნიაზ ნეტუუ! ტეპერ ზაკონ. ზნაიშ? პრაედა, ნებრაედა და ნა მეტეხუ პაშოლ... მაშ, შენ რა გეგონა? ჩვენ ესენიცი ვიცით, ვის ელაპარაკები. ვის? შენ ყარაჩულელი გიქუა გაგეგონია?! თხუთნეტჯერ რომ ციხის საყდარში სტარასტად იყო... შენ ესენი იცი? შენ ღმერთს ზადლობა უთხარი. რომ მე სამართალი მახსოვს და არ მინდა საქმე გავაფუჭო, თორემ იცი, რას გიზამდი? (თვალეებს დაუბრიალებს) ისე გაგაპტყელებდი, როგორც ჯვარი მამი ლაფაში... (ა. ცაგარ.)

...კაცმა ყველაფერი უნდა იცოდე ცხოვრებაში. გაჩითვა ვინც არ იცის, ის რა კაცია! ასე რომ დაიჭერ კარტს ერთაერთმანეთზე დადებულს და ნელნელა აძერენ ქვედა კარტს, ზევიდან „ტუზიანი“ ადევს და იძახი, აბა „ჩეტირესბოკი“, ბიკო, ან და „ტუზიანი“ და სალდათი გაქვს ხელში და დაირტყი კიდევ კარტი. „ტრისბოკი“ გინდა. წაშინ ნაქეტანი ნელა უნდა გაჩითო კარტი, ზემოდან უნდა დაიწყო. დაწიო იმდენზე. რომ ჯერ ორი „აქო“ გაშოჩნდეს და მესაზე ცოტა ქვეით შუაში. ახლა მთავარია გვერდებთან. ჯერ არ იცი, „ტრისბოკია“ თუ „ჩეტირესბოკი“. ხსნი ნელ-ნელა კარტს, ხსნი-და... აპ. მაგაზე გემრიელი ქვეყანაზე თუ რამეა ნეტა. რვიანი რომ გამოგვა. გადაშლი ოცდაერთს და გორათ რომ დგას ფული, რომ მოხვეტავ. ის კი. ვისაც მოუჭრი, გულზე სკდება, ოციანი უდევს წინ (ა. ბელ.)

ქვემოთ წარმოდგენილია ქურდის წერილი და მისი „თარგმანი“ ორ დე დგებუაძის მოთხრობიდან „ამბავი ერთი ქალისა“. დავიკრებთ წაიკითხეთ ტექსტი. მიუთითეთ, როგორაა შეცვლილი სიტყვათა მნიშვნელობა.

-ალო! დაგცილდით თუ არა. გავედი გამზრდელზე. მოცურდა მდინარე. წავაწყდი უხეშ წავს. საუფეთქლიდან ელალი წისქვილი ჩამოედგი და გავბრუნდი. გამზრდელის შაურიანზე მელიტონმა შემნიშნა და ხელი წაძატანა. ახლა ზელოდიაში ვარ. ჩვენში ვილაც

მარცხნივ იფხანს. მგონია, მელოდიას კაენი უბერავს. დააფუგასეთ. ფომიჩი, სალაშური, ზეთისხილი და ყმაწვილები ჩააქრეთ. სავენზე მარტო კალაში შიპოვეს. ჭიანჭველა ვგონივართ“.

„თარგმანი“:

„ალექსანდრე! დაგცილდი თუ არა, გავედი რკინიგზის სადგურზე, მოვიდა საბალხო მატარებელი. წავაწყდი გამოუცდელ, ძვირფასნივთიან კაცს. შარელის პატარა ჯიბიდან ოქროს საათი ამოვაცალე და წამოვედი. სადგურის მოედანზე მილიციელმა შემნიშნა და ხელი წაშატანა. ახლა მილიციაში ვარ. ჩვენში ვილაცა გამცემია. მგონია, მილიციას ხელისდაშლელი აძლევს ცნობას. მოჰკალით. ძალაყინი, რევოლვერი, ვაზნები და მოსარგები გასაღებები დამალეთ. ხალათის ზედა ჯიბეში დანის პირი მიპოვნეს. ჯიბგირი ვგონივართ“.

ისტორიკომები და არქაიკომები

რას ეწოდება ისტორიკომები? რა არის არქაიკომები? რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? რა ადგილი უჭირავს სალიტერატურო ენაში ისტორიკომებსა და არქაიკომებს?

სავარჯიშო 31. ქვემოთ წარმოდგენილ ტექსტებში იპოვეთ ისტორიკომები და არქაიკომები. ახსენით, სადაც ეს შესაძლებელია, რით არის განპირობებული მათი გამოყენება.

ისმინეთ, მსმენო, ჭირთა მომენო, მოშაპყართ ყურნი, რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი აღმურნი, ენახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..

წყეულ არ ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი! გეძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი (ა. კ.).

დავით ქსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი! განჰვლე უდაბნო ოხერი,—სავსე დაბებით შეჰქმენი!

დაჰკარ წერაქვი. — და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი! მუნ შენთან ლმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

(გრ. ორბელ.)

ჰე, ივერიაე! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი, ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი, რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრძალთა კრიალი, ძლეითა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.

წინაპართ სისხლი აწ ჩვენ შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!.

(გრ. ორბელ.).

ეპოვე ტაძარი შესაფარი, უღაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წწინღა ლაშპარი.
ანგელოსთაგან იკროღა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოღა ციურთ დასთა გაღობის ზარი!
მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ლელვით,
მუნ ვეძიებღი განსვენებას წრფელითა ზრაავით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ღამპარი წმიღა განმიტფობღა ციურის საივით!...

(ნიკ. ბარათ.).

მეც წარტყვევნიღ ვარ წარსულთ დღეთა შენტა ნატვრითა,
შენის აწწყოთი სული, გული, დანწყლულები.

წარვლიღთა დღეთა შენტა ზაასოვს დიდებულეღა,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორკმულ-ძლიერი,
შენცა გფენი კვეყნის მადღი თავისუფლება,
ეხღა აღგვიღა ყვეღა ესე, ვითარცა მტვერი (ი. კ.).

...ვეზირმა ექვით იცოღა ის მიზეზი, რისთვისაც არა ჰხლებოღა
შეფეს შამხალი, აღლოთი მიზევღარიყო, რომ მეფის სიამის მკრთალო-
ბაც იმ მიზეზთან იყო დაკავშირებულღი და ანისთვის დაანშვიღა ხაღბი.

— დიდ ბედნიერებას მარად სღღევს აჩრდიღი კავშნისა. ჰაბუჯი
მეფის გულიც ვეღარ იტევს ბედნიერებას და აღბათ მისთვის მძიმ-
ღება ეამითი ეამად. შეექვისის მეფე ათაღს წყაღობას დამბადებე-
ღისას და მალე სრულ შევებას იგრძნობს იგი (ვ. ბარნ.).

და ბუნღოვანი პასუხი მისცა დესპანს:

— ვამცნებ ბიზანტიასაც თქვენის მეფის სურვიღს აგარიანთა
შესახებ, განვეღარტავ, რა დიღი საარგებღობა იქნება ჩვენთვის,
ჩემთვისაც და იმპერატორისთვისაც, მეშვეღად ვიყოღიოთ უძღღე-
ვღი ლაშქარი ხაზართა, შეერთებულღის ძაღით შევმუსროთ აგა-
რიანთ კედმალღობა აქაც, თვით ბაღდაღშიც, — უბრძანა მეფემ
(ვ. ბარნ.).

უბტიკესთან სასტიკად დააღარცხა კეისარი მეფემ. წარჩინებულღი
სტრატეგეღი და კატეპანეღი ბრძოღის ვეღზე დასტოვეს ბიზანტი-
ეღლებმა, რამდენიღე ათასი სტრატეიოტი დაქკარგეს.

დიდძალი აბჯრის ალაფა ჩაუეარა:ა ქართულ ჯარს ხელშა. ფა-
ჩანგები, აქლენები, ჯორები, ლოდსატყორცნები და ციხეთა მშუს-
ვრელი ტარანტები. დამარცხებული უკუიქცა ზაქედონელი ბარბა-
როსი. ვასპურაკანის პროვინციის ემაზთველნა. კომინმა, სარკი-
ნოზებთან შეტაკების წინა დღეს ერთგულების ფიცი ჩამოართვა
თაეის ჯარს. ან გაემარჯვათ, ან თაეის სტრატეგთან ერთად ზომ-
კვდარიყო ყოველი სპა (ქ. გამს.).

სავარჯიშო მშ. ქვემოთ წარმოდგენილია ნაწყვეტები „შუშანი-
კის ჯანებიდან“ (I საუქ.) და „კრიგოლ სანძთელის ცაოკრებიდან“
(X საუქ.) შეიძლება თუ არა ხაზგასნული სიტყვები ჩავთვალოთ
ისტორიზმებად ან არქაიზმებად? პასუაი დაასაბუთეთ!

და ვითარცა იბილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ და-
მოსდიოდა ჩხვლთა ნათ კორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადგ-
ბად ჯაჰკ ქედსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა,
რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიქ ციხედ, და საპყრობილესა
ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს („შუშან.“).

ამისა შემდგომად მამისა გრიგოლისთჳს ზრახვა ყვეს ეპის-
კოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა, რაჲთა დაადგინონ გრი-
გოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა უდაბნოთა
ზედა და მოაკსენეს კელმწიფეთა მათ. ხოლო მათ ფრიად
განიხარეს და ერთობით დიდითა დაპატრიეებითა მო-
ღუაწებისა მის საქმედ დაადგინეს („გრ. ხანძთ.“).

ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი

რას ეწოდება ნეოლოგიზმები? რა საფუძველზე წარმოიშვება
ახალი სიტყვები და გამოთქმები? რა პირობებში კარგავს ნეოლო-
გიზმები სიაილეს?

სავარჯიშო მშ. მითითებული ამონაწერებიდან ამოკრიბეთ ის
სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც თანაწედროვე ქართულ ენაში
დამკვიდრებულია ნეოლოგიზმების სააით.

— წელან გერამ გამოიარა და დამავალა, ნაიას შეატყობინე,
რომ სალამოს პარტუჯრედის სასწრაფო სხდომა არის და დაეს-
წროსო...

ნაიასთვის ეს ცნობა, მეტად მნიშვნელოვანი იყო. უფრო დაწ-
ვრილებით გამოკითხა ელიკოს ამბავი.

— გერა თავქუდმოგლენჯილი დარბოდა, — უთხრა ელიკომ, —

ჩვენს პარტორგს, გიორგის დაეძებდა, რაიონიდან უნდა დაბრუნებულიყო და აზღენი ხანი სად არისო. თვითონ იწვევდა ამხანაგებს. სხდომაზე დასასწრებად.

-- რა საკითხია, თუ იცი, ასე სასწრაფოდ გასარჩევი!

— გერას ამაზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ კომკავშირში ბესომ კი ნითხრა, რომ ხვალ თუ ხვალ ზევით სანარჩელები ჩამოვლენ ხელშეკრულების დასადებად (ლ. ქიაჩ.).

საბჭოთა ხელისუფლების ახალმა ღონისძიებამ სასოფლო მეურნეობაში -- კოლექტივიზაციამ -- მთის კაცის ცხოვრებაშიაც დიდი გარდატეხა გამოიწვია: ზისი ჯოგი სოუს კოლმეურნეობის ფერმაში გაერთიანდა (ლ. ქიაჩ.).

მე ხარბად ვათვალთვრებდი ვიტრინებს, კედლებზე გაკრულ ფერადფერად აფიშებს, ტროლეიბუსებს, ტრაზეის. ზანქანების გაუთავებელ წწყვირებს, მთავრობის სასახლეს. მოედნებს, ფუნიკულიორს, თბილისის ზღვას, თეატრების იარუსებს, სპორტულ მოედნებს. სტადიონებს (ა. ბელ.).

ყმაწვილი მიხვდა: ვერ ასცდა სადღაც ჩაღარაჯებული პატრულის თვალს და ბრაზით ხელი ჩაიქნია, შეჩერდა. მოპირდაპირე ტროტუარზე ცივი ელვარება შენიშნა -- თავად უჩინარ პატრულს მკერდზე აეტომატი ულაპლაპებდა“ („მნათობი“, 1961, № 10).

ფ რ ა ზ ე რ ლ მ ბ ი ა

რას შეისწავლის ფრაზეოლოგია? რას გულისხმობს სიტყვათა მყარი (ფრაზეოლოგიური) შეხამებები? ფრაზეოლოგიურ შეხამებათა რა და რა ძირითადი ტიპები გამოიყოფა?

სავარჯიშო №4. ამოიწერეთ ფრაზეოლოგიური შეხამებები (ტიპების მიუთითებლად) ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტებიდან.

ყმაწვილის გული, შენი ქირიმე, აღრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაძხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულაძღე და დააქნობს. მე რა ვიციოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბოზევ ბოლო მომიღო. თუნდ ეგ არ იყოს, შინისაკენ გული არ მიმიწევდა... მაშინ რა ვიციოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიციოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა

ვფიცავ და ჩემ ზაზა-პაპის სალოცავსა. გულში ნალველას ჩაეიწუ-
რავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა
ვიცოდი? (ი. ჭ.).

ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მიუტანა სპარსელებს: გადა-
ვიდა თუ არა მათკენ, მაშინვე გაჩნდნენ კახეთში სხვადასხვა გუნ-
დები გადაფარდნილთა და მოსვენებას აღარ აძლევდნენ თათრებს;
სადაც კი შეიგულვებდნენ და მოასწრებდნენ, სულ მუსრს აღენდენ
და ისე შეაშინეს. რომ, არა თუ სოფლებში ველარ დაფარფაშობ-
დნენ ადრინდულად. ციხე-დარბაზშიაც კი შიშის ქარი უქროდათ
(ა. წ.).

ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წყმუტუნი ერთი იყო. სტკეიტა
ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვეცა კივილი. მე აკვანკალდი, დედაჩემს შეასწრო
თვალი და გაექანა იმისკენ.

დედაჩემი გასრიალდა და ერთ წამს დაჩეკარგა თვალიდამ.
კრემლი მომერია, გულა მომიკვდა: ვაიმე. დედავ. თუ დაგიკიროს
მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუგი და ხევიდამ ქვე-
ბის ჩხრიალი (ვ.-ფ.).

ასე იცით: საქმეს წააბდენს რეგვენი. თათერაკს დააბრა-
ლებსო. მაგრამ მომიკვებია თქვენთვის. აწიაც ერთგულათ იყავით.
მეც არ დაგაკლებთ წყალობას... მზათ იყავით, დიდი ომები გვე-
ლის. რომ დაუიძახებ. ქუღზე კაცი განოდით. (ნ. ლორთქ.).

მარაბდელებო. არ გავიფიქო. ქუღა არ წააგოთ. თორემ ამ
სოფლის ხსენებაც კი აღარ დარჩება, თავს სინანული სჯობია ბოლო
უამს დაანანებასა... ზიეკოთ კეისრისა კეისარს-მეთქი. უთქომს ჩვენს
მაცხოვარსა და „ვეფხისტყაოსანშიც“ სწერია: წესი არის მამათა-
გან მოქირვება კირთა თმენა. არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა
გარდავლენა... ამ საქმის მოვლაც თავაკაცებს მიუანდოთ, ჩვენ კი
ისევე ჩვენ ქოხებს მიეხედოთ. თქმულა: საწყნარე გმობილი სჯობია
სიჩქარე ქებულსაო. უნდა მოვითმინოთ-მეთქი, თორემ თუ კაცი
კირსა ვერ დასთმობს, ლხინა რა დასათმობია! კარგი იქნებოდა,
რომ ეს დღე არ გავეთენებოდა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, როცა
ჯოხი არა გაქვს, ძაღლს ლუქმა მიუგდეო (მიხ. ჯაფია.).

გადმოეცით იდიომის განსახლერება. რა ურთიერთობა არსებობს იდიომის მნიშვნელობასა და ნასში შექმნილი სიტყვების ცალკეულ მნიშვნელობათა შორის? როგორია, ჩვეულებრივ, იდიომში შემავალ სიტყვათა რიგი? შეიძლება თუ არა იდიომის სიტყვა-სიტყვით თარგმნა სხვა ენაზე?

სავარჯიშო მნ. ამოიწერეთ იდიომები და კონტექსტის მიხედვით განმარტეთ მათი მნიშვნელობა.

გაიკეთა ჩიბუსი ზადაწასლისეზულმა მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარაოთახში ბოლთასა სცენდა (ი. ჯ.). დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ზანზედ სიტყვა გადააგდო (ი. ჯ.). როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალმომკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მიუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავახასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

— დავით, აქი მზათუნაბავიო?

ხალხს სიცილი წასცდა. საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო. და ტირილი დაიწყო (ი. ჯ.).

თითქოს იმათაც სული მიუღდისთ,
რომ ნიიტანონ თან იერიში
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში (ა. წ.).

ბნელით გამოსულმა ქვეყანამ სული ზოიბრუნა და დანალელიანებულ ბიძინასაც გული დაუტკბა (ა. წ.). ხანს ხათრი ველარ გაუტება და შევიდა წრეში წელზევით ტიტველი (ა. წ.). ქალმა რომ ვაგაკის გულ-მკერდის სითბო იგრძნო, გონზე მივიდა: რალაც უცნაურმა ერუანტელმა დაუარა ტანში (ა. წ.).

— პაი, გიდი, წართალნო! — სთქვა ველამ ლომილით, — ვე აბრუ მაქვს გატეხილი. ჩემი ცოდვა ცოდვადა სჩანს და თქვენი ცოდვაჲ კი — ნადლად (ვ. ფ.). მელნა გული ზოიფხანა, ტრედების ჯავრი ამოიყარა: „წელან ჩემზე რომ იციხადით, ებლა მეც ვიციინებ თქვენზეო“ (ვ. ფ.). მაშინ ქართველები გაინაბნენ, თათრები სიხარულით-ცას მიეწივნენ, სომხებს კი შიშის ზარი დაეცათ, მაგრამ ხელიც არავის არ ახლეს (ნის. ჯავახ.). ყველას სწორედ იმ ღამეს გააბ-

სენდა თავის სათქმელი. ყველამ პირი მოუშვა და მაშინლა გაჩუმდნენ; როცა მაშალა ნეორეჯერ იყილა (მიხ. ჯავახ.).

სავარჯიშო № 6. შეადგინეთ წინადადებები ქვემოთ მითითებული იდიომების გამოყენებით.

მუსრს ავლებს: ენა აიხსნება; საღერლელი ავშლება; თვალს გადაავლებს; სიტყვას გაჰკრავს; მზე გაუშავდება; თავს გასწირავს; ენას დაიშოკლებს; გულს დაუკაწრავს; გული ედაგება; შორს იხედება; დანა კბილს ვერ უხსნის; ქედს მოიბრის; ნიშნს მიუგებს; ტვინს შეუწურებს; ტვინს გაუხვრეტს; ღამეს ტეხს; სახელი უტყდება; ბოლთასა სცემს; გზა-კვალს ურევს; ქვაკ კი ატირდებოდა; ქვეყნის ყბაში ჩავარდა; ყინულზე გაასურა; ყერები წაიღო; შიოს მარანი; ჩაიღურის წყალი დალია; ჩიტის რძე; ცხელ გულზე; ცხვირის აწევა; ხათრის შენახვა; ხელი ურევია; ჯავრის ამოყრა.

სავარჯიშო № 7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (ტ. ტ. I—VI) და თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმებიდან“ (ტ. ტ. I—III) ამოიწერეთ ზოგიერთი იდიომატური გამოთქმა. მოახდინეთ მათი ანალიზი შინაარსობლივი და ენობრივი თვალსაზრისით.

სავარჯიშო № 8. „რუსულ-ქართული იდიომატიკიდან“ (ავტორები: ნ. გამრეცელი, ე. მგალობლიშვილი, 1956 წ. გამოცემა) ამოიწერეთ რუსული იდიომები და გადათარგმნეთ ქართულად. პასუხის სისწორე შეამოწმეთ ამავე წიგნის დახმარებით.

ანდაზები, აზოკრიჟები, ფრთოსანი ხიტყვები და გამოთქმები

რა შეადგენს ანდაზის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს? რამსგავსება და განსხვავება არსებობს ანდაზებსა და აფორიზმებს შორის? რას ეწოდება ფრთოსანი სიტყვები და გამოთქმები?

სავარჯიშო № 9. გაეცანით ქართულ ანდაზათა შემდეგ კრებულებს:

1. ანდაზები, ლ. ნეტრეველის მიერ შეკრებილი. ტფილისი, 1936.
2. ქართული ანდაზები, თბილისი, 1955 (შემდგენელი თამარ სვინტიძე).
3. რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები. შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ალ. ლლონტა. თბილისი, 1957.
4. ქართული ანდაზები, შეადგინა ა. კანდელაკა, თბილისი, 1959.

ამ კრებულებიდან ამოიწერეთ თქვენთვის საინტერესო ანდაზები. გადმოეცით მათი დედააზრის აასნა-განმარტება. ყურადღება გააძახვილეთ ანდაზების სინტაქსურ აგებულებაზე. დაახასიათეთ ანდაზებში შემავალი სიტყვები ლექსაკოლოგიის თვალსაზრისით.

სავარჯიშო 40. გაეცანით ქართულ-რუსული ანდაზების კრებულს („ქართულ-რუსული ანდაზები“, შეადგინა პ. წერეთელმა, თბილისი, 1956). დაუკვირდით, რა ურთიერთობა შეინიშნება ქართულსა და რუსულ ანდაზებს შორის ენობრივი თვალსაზრისით. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ანდაზები ერთი ენიდან მეორე ენაზე სიტყვა-სიტყვით თითქმის არასოდეს არ ითარგმნება?

სავარჯიშო 41. წაიკითაეთ ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ I-თავი და მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ IV-თავი („სისალიანი ნადიმი“). დაუკვირდით, როგორ და რა მიზნით იყენებენ ეს ნწერლები ხალხურ ანდაზებს?

სავარჯიშო 42. ამოიწერეთ რამდენიმე აფორიზმი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, დ. გურამიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაეა-ფშაველას და სხვ. ქართველ მწერალთა თხზულებებიდან.

სავარჯიშო 43. გაეცანით აფორიზმების ქვემოთ დასახელებულ კრებულებს. ამოიწერეთ თქვენთვის საინტერესო აფორიზმები და გადმოეცით მათი დედააზრი.

1. შ. რუსთაველი. აფორიზმები, თბილისი, 1954 (შემდგენელი ა. შილაკაძე).

2. ი. ჭავჭავაძე, აფორიზმები, ამოკრებილია ბორის კანდელაკის მიერ, თბილისი, 1957.

3. ა. წერეთელი, აფორიზმები, საბლიტგამი. თბილისი, 1948.

4. ვაეა-ფშაველა. აფორიზმები, ამოკრებილი გელა საითიძის მიერ, თბილისი, 1961.

სავარჯიშო 44. გადმოეცით მნიშვნელობა ქვემოთ მითითებული ფართოსანი სიტყვებისა და გამოთქმებისა, პასუხის შესამოწმებლად გამოიყენეთ:

1. თ. სახოკია: „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (ტ. ტ. I; II. III).

2. თ. შავიშვილი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბილისი, 1957.

3. Н. С. Ашукни, М. Г. Ашукниа, Крылатые слова, Москва, 1960).

ავგიას თავლა; აღფა და ომეგა; აწაოება ამაოებათა და ყოველივე ამო არს! აქილევსის ქუსლი; ბატებმა რომი იხსნეს; გათიშე და იბატონე!; გედის სიშლერა; გენია; გოლგოთა; დამოკლეს მახვილი; დაფნის გვირგვინი; დიოგენეს უარანი; ეგ არის და გორის ციხე; ეზოპეს ენა; იოტის ოდენა; იუდას ამბორი; მოვედი, ვნახე, დაეპარცხე; მრგვალი შაგიდა; ნიანგის ცრემლები; ორთავიანი არწივი; ოცდაათი ვერცხლი; პიროსის გამარჯვება; პოტიომკინის სოფელი; სააელწიფო — ეს მე ვარ; ურწმუნო თომა; ქამელეონი; ძლიერნი ანა ქვეყნისანი; ჰანიბალის ფიცი; ჰეროსტრატეს დიდება.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

რა შეადგენს გამოცანის, როგორც ფრაზეოლოგიურ შეხამებათა ერთ-ერთი ტიპის, დამახასიათებელ ნიშანს? რა საგანმანათლებლო და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს გამოცანებს? რა მიმართება არსებობს ხალხურ გამოცანებსა და მწერალთა მიერ შედგენილ გამოცანებს შორის?

სავარჯიშო 45. ამოიცანით ქვემოთ წარმოდგენილი ხალხური გამოცანები. შესამოწმებლად გამოიყენეთ პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“ (ნაწ. I, გამოცემული 1937 წელს). დაუკვირდით, საგნებისა და მოვლენების რა ნიშან-თვისებებზეა გამახვილებული ყურადღება ამ გამოცანებში.

გარეთ ატლასი, შიგნით ათასი; ვთოკე, ვთოკე, ვერ ავთოკე; ერთს პატარა მინდორზე სულ თოვს; ხე მრუდო და ხე მართალო. ხეო, მაგრამ როგორ ხეო, სააქაოს ცხოვრება ხარ, საიქიოს სამოთხეო; გარეთ ელვა, შიგნით ქექა, კაცის შესაშინებელა; საბძელს უკან კვახია, დედამიწა გახია; ერთი თახჩა მაქვს, კენჭებით გამოტენილი; საპალნე ჰკიდია, ცხენი არ არის, რქა აქვს, ხარი არ არის, ხეზე აღის კაცი არ არის; ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზედ უფრო სოსანი, წავა ინდოეთს, წყალს დაღვეს, ისევ მომივა ცოცხალი; ტყეში გავიზარდე, ტყეში დავიბადე, შევედი სახლში და კუკუ დავიძახე; მალლიდამა წამოვედით ხაბა-ხუპით ცხენოსანნი, სულ უკანა დამედევნენ ქვეითი და ცხენოსანი; ქვეყანას გადასწვდება, ქურის პირს არა; თეთრი ყანა, შავი თესლი, მიდგომია

კაცი, ებრძვის: თეთრი ხნული, შავი თესლი. თესლი მთესავს ეუბნება; ორმო ბნელი, შიგ ზოზეერი, ძნელად მოსაბრუნებელი: ხე მრუდი და ხე მართალი, აბია ხუთი მარცვალი; ისარი ხისა, შვილდი წყლისა, კუნძს მოხვდა და ქვა გაფრინდა: უძელო, უფხო, წყალში ცურავს.

ხაფარჯიშო 46. გაეცანით დაწყებითი კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ გამოცანებს. მიუთითეთ, რა მიზნითაა შეტანილი ისინი სახელმძღვანელოებში.

ხაფარჯიშო 47. ამოკრიბეთ გამოცანები საბავშვო ჟურნალ-გაზეთებიდან („ბიონერი“, „დილა“, „ნორჩი ლენინელი“). მოახდინეთ მათი დალაგება თემატიკური თვალსაზრისით.

ს ა რ ჩ ი ვ ი

სიტყვის რაობა	4
სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები	4
სიტყვა და მისი მნიშვნელობა	5
სიტყვის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობა	5
სიტყვის შრაკალმნიშვნელოვნება	7
სინონიმები	8
ომონიმები	10
ანტონიმები	12
თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა შედგენილობისა და გამოყენების თვალსაზრისით	14
ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების საშუალებანი	15
წარმოქმნა	16
თხზვა	16
სიტყვათა სესაება	17
სიტყვის მნიშვნელობის ცვლა	21
საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკა. აქტიური და პასიური მარაგი	21
დიალექტური ლექსიკა	23
პროფესიული ლექსიკა	25
ფარგონული ლექსიკა	27
ისტორიზმები და არქაიზმები	29
ნეოლოგიზმები	31
ფრაზეოლოგია	32
იდიომები	34
ანდაზები, აფორიზმები, ფრთოსანი სიტყვები და გამოთქმები	35
გამოცანები	37

